ტუალეტის უნარ-ჩვევის გამომუშავება

თუ გსურთ რომ:	გასათვალისწინებელი ფაქტორები
მიხვდეთ თუ როდის არის მზად ბავშვი ტუალეტის უნარ-ჩვევის სწავლისთვის	ტუალეტის უნარების სწავლების დაწყების დრო, დაახლოებით 18 თვიდან 3 წლამდე პერიოდია, თუმცა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და თქვენ ბავშვს შეიძლება მოგვიანებით ჰქონდეს. მზაობის შემთხვევაში: - ბავშვი ინტერესდება ზოგადად საჭირო ოთახის მოხმარებით, რაც გამოიხატება საჭირო ოთახის, ტუალეტის ქაღალდის, საჭირო ოთახის ჩარეცხვის ან სხვებზე დაკვირვების სურვილით. - გატყობინებთ, გაგრძნობინებთ ან გამოხატავს წუხილს როდესაც ჩაისველებს ან ჩაისვრის. შესაბამისად, უმჯობესია ტუალეტის უნარ-ჩვევებზე მუშაობა ისეთ დროს დაიწყოთ, როდესაც შესაძლებლობა გექნებათ გახადოთ საფენი და მისცეთ საშუალება დაისვაროს საცვალი და შეწუხდეს. - დეფეკაციის შემთხვევაში წყვეტს თამაშს და კონცენტრირდება კუჭში გასვლის პროცესზე და / ან ამ დროს, იმალება ერთ კონკრეტულ ადგილას.
დაგეგმოთ წარმატებული პირველი მცდელობები	ტუალეტის უნარ-ჩვევა გულისხმობს ტუალეტთან დაკავშირებული საკუთარი სურვილების გაცნობიერებას და საჭირო ოთახის დამოუკიდებლად მოხმარებას, თუმცა ამ უნარის ჩამოსაყალიბებლად, ბავშვს უფროსის დახმარება სჭირდება: - წაახალისეთ საჭირო ოთახში შესვლა ან ქოთანზე დაჯდომა ყოველ დილით გაღვიძებისას, შუადღის ძილამდე და ძილის შემდეგ, ახალი თამაშის დაწყებამდე ან მას შემდეგ, ჭამამდე, ძილამდე, სახლიდან გასვლისას. - ყოველთვის როდესაც შეატყობთ, რომ ბავშვი წუხს, წრიალებს ან ხელს იკიდებს სასქესო ორგანოზე ჰკითხეთ, ხომ არ სურს ქოთანზე დაჯდომა და წაახალისეთ წარმატებული მცდელობები.
წაახალისოთ საჭირო ოთახის დამოუკიდებლად მოხმარება	- ტუალეტის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ბავშვს ეცვას მოხერხებული ტანისამოსი (ტრუსი, პამპერსი) რომლის გახდას / ჩაწევას ადვილად შესძლებს.
უზრუნველყოთ კომფორტული გარემო	- მოათავსეთ ტუალეტისთვის საჭირო ნივთები ბავშვებისთვის ხელისაწვდომ ადგილას, მაგალითად, ქოთანი საპირფარეშოში იდგეს ყოველთვის ერთი და იგივე ადგილას, უნიტაზის გამოყენების შემთხვევაში იქონიეთ მყარი პატარა ტაბურეტი, სადაც ფეხებს დაადებს.

შესთავაზოთ ბიჯები რათა რუტინა იყოს შესრულებადი და ბავშვისთვის იოლი	- ტუალეტის უნარ-ჩვევის გამომუშავება საჭიროებს დროს და მნიშვნელოვანია, ბავშვი არ ააჩქაროთ. - საჭიროების შემთხვევაში ჩამოკიდეთ თითოეული ბიჯის ამსახველი ფოტო საჭირო ოთახში უნიტაზთან ან ქოთანთან ახლოს - გახსოვდეთ, რომ ბავშვს სჭირდება ხშირი პრაქტიკა იმისთვის, რომ საჭირო ოთახი დამოუკიდებლად მოიხმაროს. - გაითვალისწინეთ, რომ საჭირო ოთახი ყველგან განსხვავებულია - ამიტომ ბავშვს შეიძლება დასჭირდეს უფრო მეტი დრო ახალ გარემოში გასარკვევად.
დაეხმაროთ შესაბამისი ჰიგიენის დაცვაში	- თავიდანვე შეაჩვიეთ, მოშარდვას / დეფეკაციას საპირფარეშოში და არა მის გარეთ (მაგ: ხშირად ხდება ქოთანის საერთო ოთახში გამოტანა სხვების თანდასწრებით ბავშვის მასზე მოთავსება, რაც ნორმების უხეში დარღვევაა). - ასწავლეთ ბავშვს, რამდენი ქაღალდი უნდა მოიხმაროს ან როგორ შეამოწმოს არის თუ არა სუფთა. - ხელის დაბანა უმნიშვნელოვანესია. ამიტომ ბავშვი ადვილად უნდა წვდებოდეს ონკანს. ამისთვის შეიძლება გამოიყენოთ პატარა სკამი. ამასთან ერთად, შესაბამის დონეზე უნდა განთავსდეს მისი ხელსაწმენდი და საპონიც. - იმისთვის, რომ თავიდან აირიდოთ ცხელი წყლით დამწვრობა, შეგიძიათ გააკრათ შესაბამისი ფერები და მანიშნებლები, თუ რომელია ცივი და რომელი ცხელი.
წაახალისოთ პოზიტიური ქცევა	- გქონდეთ ,,მარცხის" მოლოდინი. ეს ჩვეულებრივი რამ არის ტუალეტის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბების პროცესში. ბავშვი შეიძლება იმდენად გაერთოს სხვა რაღაცით, რომ საჭირო ოთახის მოხმარება დაავიწყდეს. ის არასდროს დასაჯოთ ამის გამო. სამაგიეროდ ყოველთვის შეაქეთ და მოიწონეთ მისი წარმატებული მცდელობები. - ტუალეტის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას თან ატარეთ რამდენიმე გამოსაცვლელი ტანისამოსი. - შეგიძლიათ მარცხის შემდეგ ბავშვიც ჩართოთ გასუფთავების პროცესში. - დააჯილდოვეთ ბავშვი პასუხისმგებლობისა და მონაწილეობისთვის.